№ 22

სამშაბათი, 11 თებერვალი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 22

ათი, 11 თებერვალი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| ხ | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | м. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 | „ | 6 | „ |
| 11 | „ | 9 | 50 | 5 | „ | 5 | 50 |
| 10 | „ | 8 | 75 | 4 | „ | 4 | 75 |
| 9 | „ | 8 | „ | 3 | „ | 3 | 50 |
| 8 | „ | 7 | 25 | 2 | „ | 2 | 75 |
| 7 | „ | 6 | 50 | 1 | „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ბ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

---

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი ათვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

---

ქართული თეატრი.

### ბენეფისი

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.

ოთხშაბათს, 12 თებერვალს

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა

I

უპატრონონი არ იბადებიან

დრამ. 3 მოქმ. როკეტტისა, თარგმ. ნ. გალუსტოვისა.

(ამ პიესას მიღებული აქვს ჯილდო)

II

პირველად ახალი პიესა:

შეცდომა

ვოდ. 2 მოქმ. კნ. ი. ბარათაშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეული, ივანიძე, კუნდელი და სხ. ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, სვიმონიძე, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი. და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთები არავის გაეგზავნება.

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

---

ტფილისი, 10 თებერვალი

ნუ თუ თვალწინ დაგვიდგა დასაწყისი ოსმალეთის დასასრულისა? ასეთი საკითხი ყოველს კაცს მოსდის ფიქრად, როცა ამბად მოდის კრიტის კუნძულის გამო ატეხილი ალიაქოთი. რა ჰქმნა ისეთი საბერძნეთმა, რომ ევროპა მუქარით და საყვედურით თითს უქნევს. იელიტება ტყუილუბრალოდ ქრისტიანი ხალხი, ლამის სულის ამოხდამდე მივიდეს კუნძული კრიტისა, ლამის ერთმანეთი შესჭამონ იქ დატყვებულმა ბერძენმა და დამპყრობელმა ოსმალომ, ევროპა-კი არამც თუ ხელს არ სძრავს, თავისს რიხიანს ხმას არ იღებს, არამედ გამოსულა და მუქარით ეუბნება პატარა საბერძნეთს: შენც სუ და მეც სუო!

დიპლომატიისა არ ვიცით,—რა უძევს წინ, რომ ასე იქცევა. საბერძნეთის მოქმედება-კი ადვილად ასახსნელია საიდამ მოდის და საღ მიდის. ქვეყნის გული თანაგრძნობით უნდა უყურებდეს ამ პაწია საბერძნეთის თავგამოდებას და გაბედულობას. კრიტიელნი ბერძნების სისხლ-ხორცნი არიან, მათი ერთ-მორწმუნენი და ოსმალოთაგან მოწყვეტილნი თავისს მოძმეთაგან, მისგან დევნულნი და ჩაგრულნი. ბევრს კრიტიელს ვაჟკაცს დაუდვია თავი საბერძნეთისათვის, როგორც თავის სამშობლო ქვეყნისათვის, ბევრს დაუღვრია თავისი სისხლი, მტლად დაუდვია თავისი სიცოცხლე საბერძნეთის განთავისუფლებისათვის, ბევრს სულის დალევის დროს ომში უძახნია: გაუმარჯოს საბერძნეთსაო და ამის ნატვრით დაულევია სული! ნუ თუ საბერძნეთს საყვედური უნდა შეეთვალოს ვისგანმე, რომ იგი დღეს თვისთა მოძმეთა სიყვარულით აღფრთოვანებული, გამოუდვია თავი იმათის ხსნისათვის, გამოსულა და იძახის: პატარა ვარ, მაგრამ გული დიდი მაქვს ძმათა საშველად, ჩემი იარაღი, ჩემი თოფი და ზარბაზანი ჩემი სიმართლეა, სიმართლე ერთის სისხლ-ხორცობისა, ერთსარწმუნოებისა, სიმართლე ჩაგრულთა და წვალებულთა ძმათათვის გულმტკივნეულობისა და თავ-დადებისაო.

მართლა და, რა იმისთანა დანაშაულობაა, რომ კაცმა თავისი ძმა, ტყვედ-ქმნილი, ძალით წართმეული, მოტაცებული, სულის ამოხდომამდე მიღწეული იძიოს, რომ ისევ თავისთან იყოლიოს, შეივრდომოს, შეიეროს, ძმას ძმურად მიეშველოს, შეეწიოს. გრძნობა ადამიანობისა, ქრისტიანობისა, მაღალ-ზნეობისა სხვა რა არის, თუ არ გულის-ტკივილი ყველასათვის საერთოდ და ძმათათვის განსაკუთრებით. აი ეს, სწორედ ეს გრძნობაა ის ღონე უღონოსი, ის შემძლებელობა შეუძლებელისა, რომელიც სასწაულს აქმნევინებს ხოლმე ადამიანს და რომლის საოცარი მაგალითები ძლევა-მოსილობისა არა ერთი და ორია ისტორიაში.

ჩვენის ფიქრით, პირველი მიზეზი და საბუთი იმ თავ-გამოდებისა, რომელიც დღეს საბერძნეთმა გამოიჩინა, ამაშია და ამაშივეა მისი იმედი და სასოება. ეს იმედი და სასოება უნდა გაორკეცდეს და გაძლიერდეს იმ საზრისით, რომ ქვეყანა ამ შემთხვევაში საბერძნეთისაკენ უნდა იყოს, თუ მარტო მუცლისათვის ზრუნვას არ მოუკლავს უმაღლესნი სულთა-სწრაფვანი ადამიანობისა, კაცთ-მოყვარეობისა, ქრისტიანობისა.

დიპლომატია, რასაკვირველია, სულ სხვა თვალით უყურებს საბერძნეთის, ამ პაწია და უღონო სამეფოის, გაბედულობას. უკვირს საბერძნეთი როგორ ჰბედავს და ჯიუტობს და არ ემორჩილება ევროპასაო. დავიჯეროთო, იძახიან დიპლომატები, აქ არავინ იყოს იმისთანა, რომ საბერძნეთს ერთს აწვეთებდეს ყურში და პირად-კი სულ სხვას გაიძახოდესო? თუ ესეა, აშკარაა ის, ვინც არის, ღონეც უნდა შესწევდეს, ზურგი მეტად მაგარი უნდა ჰქონდეს, თორემ საბერძნეთი არც ისეთი უპატრონოა და წინ-დაუხედავი, რომ თვით უღონო უღონოსავე სიტყვას და ქადილს აჰყვეს და თავისი სვე-ბედი დიდს განსაცდელში ჩააგდოს. აშკარაა, აქ ისეთი წამქეზებელი უნდა ჰყვანდეს, რომ მისის იმედით და უეჭველის დაპირებით საბერძნეთმა გაბედოს ის, რაც უკვე ეგრე თამამად გაბედა.

თქმა არ უნდა, ეხლანდელი სულთა-ძვრა საბერძნეთის ერისა, მისი ზნე-მაღალი მოვალეობა თავის სამშობლოსა და მოძმეთა წინაშე შეექმნებოდა ზოგიერთს სახელმწიფოს იმედად, რომ იქნება ამით აღმოსავლეთის საქმემ მთელ თავისს სიგძესიგანეზე იფეთქოს ბ ევროპა აირ-დაირიოს, გამეგობრებულნი ერთმანეთს გადაამტეროს, მტერნი დაამოყვროს და ამ სახით საცა წვრილია, იქ გაწყდეს ძაფი ეხლანდელის კავშირობისა. ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, აღმოსავლეთის საქმე იმისთანა საძნელია, თუ ცეცხლი წაეკიდა, ყველა თავისის საკუთარის ხელების თბობას დაიწყებს, ყველას თავისი საკუთარი სატკივარი გაუჩნდება, ყველა ეცდება თავისაკენ მოითალოს, რაც მოსათლელია. რაკი სახელმწიფოთა „მე" გაიღვიძებს, ოსმალთაგან დატოვებულს სამკვიდროს განაწილების მადაც თავისს გაუმაძღარს პირს დააღებს და მოდით ყველა პირ-დაღებული გააძღეთ ისე, რომ მეტი არავინ ინდომოს და ამ ნდომით ხელი ხმალს არ იკრას სიხარბითა, იმისდა მიუხედავად ბედი ბ შემთხვევა ხელს შეუწყობს, თუ არა.

აი დიპლომატიის შიში რაში მდგომარეობს. იგი ფრთხილობს, რომ ამ პაწია საბერძნეთმა არ ააფეთქოს აღმოსავლეთის საქმე და თოფ-ზარბაზანმა არ გაიხმაუროს თავისის საშინელის ხმით იქ, საცა დღეს მარტო დიპლომატების ენა ტყუილ-უბრალოდ ჰლაქლაქებს.

ამ სახით უეჭველია, რომ დღეს ევროპაში ერთის მხრით აღმოსავლეთის საქმის ატეხა ჰსურთ და მეორეს მხრით მისი ჩაფუჩეჩება. აშკარაა, თვითეული მხარე ისე იქცევა, როგორც უჯობს და საკვირველი არ არის, რომ საბერძნეთს მოიმედე, წამქეზებელი ჰყვანდეს და ზურგთ უკან მაგრად ჰქონდეს დაჭერილი საქმე. ეს, რასაკვირველია, საბერძნეთის ტრფიალებით კი არ მოსდის წამქეზებელს, თუ იგი სადმეა: იმას თავისის პოლიტიკის ნასკვის გამოხსნა სწადიან, გაჭირებისაგან გამოსვლა, ერთის სიტყვით, თავისი ინტერესები ამოქმედებს და როგორც ეტყობა, ჯერხანად ალჩუ უჯდება. არც მეორე მხარეა ოსმალოს ტრფიალებით გატაცებული. ყველამ კარგად იცის, რომ დღენი ოსმალოს ხელმწიფობისა ევროპაში დათვლილია, დღეს არა, ხვალე იგი დადნება, ვითარცა შარშანდელი თოვლი. ხოლო სამკვიდროს გასანაწილებლად და გასაყოფად მზად არ არიან და სცდილობენ ეს საქმე გასჭიმონ იქამდე, ვიდრე შესაძლო იქნება რიხით და ზარით მივიდნენ და თავისი ნაწილი უკლებლივ მოაჭრან ოსმალოთაგან დაშთენილ სამკვიდროსაგან.

ამისთანა „ჰო და არა" ერთსა და იმავე დროს ევროპის სახელმწიფოთა შორის საბერძნეთს, ჩვენის ფიქრით, ხელს უნდა უმართავდეს. დიპლომატია, როგორც კარგად გაწურთვნილი მეძებარი, ამ „ჰოსა და არას" კვალსა უეჭველია უნდა აჰყვეს და ამის უკან დევნას მოახმაროს თავისი დრო და ჭკუა. მოულოდნელი არ არის, რომ მინამ დიპლომატია ამაებით გართული იქნება, საბერძნეთმა აიღოს და კრიტის კუნძული დაიჭიროს და ამით გაათავდეს საქმე ჯერხანად. ამისთანა წაჯეგ-უკუჯექობა იყო, როცა ინგლისმა არც აცხელა და არც აცივა, აიღო და ეგვიპტეში დასკუპდა მთელის ევროპის წინააღმდეგ. ევროპამ პროტესტი გამოუცხადა და დაჩუმდა; ავსტრ-ვენგრიამ დაიჭირა ჰერცოგოვინა და ბოსნია კიდევ წინააღმდეგ მთელის ევროპის განაჩენისა. ეს შერჩა ავსტრ-ვენგრიას და ევროპამ პროტესტი გამოუცხადა და დაჩუმდა; ბოლგარეთსაც ბევრი თითი უქნიეს, მაგრამ აიღო და რუმელია დაიჭირა, აქაც ევროპამ პროტესტი გამოაცხადა და დაჩუმდა. რასაკვირველი ღაა, რომ საბერძნეთმაც დაიჭიროს კრიტი და ევროპამ კიდევ თავისი პროტესტი გამოაცხადოს და დაჩუმდეს.

ესე გათავდება კრიტისა და საბერძნეთის საქმე, ან თუ კრიტს სრულ ავტონომიას მისცემენ—ამით მაინც იგი იარა, რომელიც ევროპის ტანს აჩნეული აქვს აღმოსავლეთის საქმის სახით, არ გამთელდება. მოსურნე აღმოსავლეთის საქმის აწეწვისა არ მოისვენებს. თუ კრიტს და საბერძნეთს დააჩუმებენ, ახლა მაკედონიაში წაუკიდებენ ცეცხლსა და ასე ივლიან, ვიდრე მოლოდინი ოსმალეთის განაწილებისა და გაყოფისა ერთმანეთს არ წაჰკიდებს აწ დამეგობრებულს სახელმწიფოებს და სხვა ზავ-კავშირობას არ ჩამოაგდებს ევროპაში ამის მეცადინეთა სასარგებლოდ. დასაწყისი ნამდვილის დასასრულისა ოსმალეთისათვის მაშინ იქნება.

---

### მთავრობის განკარგულებანი.

—

ებოძა პოდპორუჩიკობა დერბენტის მე-154 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს კაშაკიძეს.

გამორიცხულ იქმნა ნუსხიდგან სიკვდილისა გამო პოლკოვნიკი კვინიტაძე.

---

## ახალი ამბავი

—

*** ბ-ნ გიგო ჩარკვიანის მეცადინეობით, რომელსაც ქ-ნი ეკ. ასათიანისაც ეხმარებოდა, ნაძალადევში პირველ-დაწყებითი სამრევლო სასწავლებელი გაიმართა. ეს სასწავლებელი კვირას, 9 თებერვალს, აკურთხეს. კურთხევას დაესწრო ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლების ინსპე-

ქტორი ბ ნი ნ. გ. ტატიშვილი, სკოლის მოსწავლენი, მოსწავლეთა მშობლები და მრავალი გარეშე ხალხი. პარაკლისის გარდახდის შემდეგ მღვდელმა იროდიონ გურგენიძემ დამსწრე საზოგადოებას გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა, რომელშიაც მშვენივრად განმარტა სწავლა-განათლების მნიშვნელობა. დაბოლოს მამა იროდიონმა შესაფერი სიტყვებით მოიხსენია ბ-ნი გიგო ჩარკვიანი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლის დაარსებაში. მამა გურგენიძის შემდეგ ილაპარაკა ინსპექტორმა ბ-ნ ტატიშვილმა. რაც მე ქალაქში მოვედიო, ბრძანა მან, ეს მეთოთხმეტე პირველ-დაწყებითი სკოლა არსდება ქალაქშიო. ყველგან ჩემი დახმარება დარჩა საჭირო, მხოლოდ აქ —ნაძალადევთა უბანში—მარტო მოსვლის მეტი არა დამჭირებია რა, სხვა ყოველივე თქვენ თითონ მოგიწყვიათო. დაბოლოს წარმოსთქვა სიტყვა ბ-ნმა გიგო ჩარკვიანმა, რომელშიაც თავისს მეზობლებს გაუთვალისწინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შეერთებულის ძალ-ღონით საქმის კეთებას! როგორც ეს საქმე სასურველად დავამთავრეთ, ისე ყოველივე სხვა საერთო საქმეშიაც გავიმარჯვებთ, თუ ერთმანეთს მხარს მივცემთ და ძმურად ვიშრომებთო. შემდეგ ბ-ნი ტატიშვილი, მღვდელი და სხვა საპატიო სტუმრები საუზმეზედ იქმნენ მიწვეულნი.

სკოლის მასწავლებლად მცხეთის დედათა მონასტრის სასწავლებელში კურს დამთავრებული ნატალია ძაგნიძის ქალია მიწვეული, რომელიც ძლიერ მუყაითად და კეთილსინიდისიერად ეკიდება თურმე თავის საქმეს. სკოლაში ჯერ-ჯერობით 45 ბავშვი სწავლობს, მაგრამ რადგან ყველანი სკოლის დარბაზში ერთად ვერ თავსდებიან, ნახევარი სადილობამდის დადის სკოლაში და ნახევარიც ნასადილევს.

*** როგორც „ჩერნომ. ვესტ“-ი გვაუწყებს, საერთო აღწერის დროს, ქობულეთის მახლობლად სამი ას-ას წლოვანი მოხუცი აღმოჩენილა. ერთ ამ მოხუცთაგანს შარშან მოჰკვდომია მამა, რომელიც თურმე ას ორმოცის წლისა იყო.

*** 7 თებერვალს ტფილისის საგუბერნიო მართველობამ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის წარმომადგენელთა მონაწილეობით დაადგინა, ეხლანდელი ფოსტის გზა აღბულაღისა ასე იქმნას შეცვლილი: ეხლანდელი სადგურები—ტაბახმელა და ბორბალო გაუქმდეს. ფოსტის გზამ გაიაროს ტფილისიდგან სოღანლუღსა, კოდასა, სალირაშენზედ და აქედგან აღბულაღში მივიდეს. ხოლო შულავერს ფოსტის გზა წავა ყარსის რკინის გზის სადგურ აშალ-ფარადიდგან, რომელიც შულავერიდგან 8 ვერსით არის დაშორებული.

*** ჩვენ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ სამიწად-მოქმედო სამინისტრო იურისკონსულტის თანაშემწეს ბ-ნ ლისენკოვს ჰგზავნის კავკასიაში, რათა გამოიკვლიოს საქმე სახელმწიფო მამულების კერძო კაცთა მიერ მითვისებისაო. ეხლა „ნოვ. ობოზრ.“-ეს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ ბ-ნი ლისენკოვი უკვე წავიდა ბაქოში, საიდგანაც კავკასიის სხვა ადგილებსაც მოივლისო.

*** როგორც გვაცნობებენ ბ-ნს მზიანაშვილს შეუდგენია ერთი ახალი ისტორიული პიესა, რომელსაც სახელად ჰქვიან „შავი დღენი“. ეს პიესა 5 მოქმედებიანი დრამაა და მისი სიუჟეტი აღებულია XVIII საუკუნედგან, როდესაც ქართველები საშინლად იტანჯებოდენ ოსმალებისა და ლეკებისგან ახალციხის საფაშოში. ხსენებული დრამა ბ-ნის მზიანაშვილის სომხურ ზეპირ-ნათქვამიდგან ქართულად უთარგმნია დავით ტერ-დავითიანცს. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ეს პიესა ძალიან საინტერესოაო და დიდს ყურადღებასაც გამოიწვევს ქართველთა თეატრის მოყვარულთა შორისაო.

*** როგორც ვუწყით, კახეთში ერთგვარი სენი გამოაჩნდა ვენახს, რომელიც ზოგიერთმა სწავლულმა და მათ შორის გამოჩენილმა მიკოლოგმა ვიალამაც ბლეკ-როტად იცნო. კავკასიის საფილოქსერო კამიტეტმა მთელის კახეთისათვის პროექტი შეამუშავა და სამინისტროში წარადგინა დასამტკიცებლად იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რომ ბლეკ-როტი ერთი ადგილიდგან სხვაგან არ გავრცელდეს. ამ ჟამად მინისტრთა კრებას ეს პროექტი განუხილავს და დაუნახავს, რომ მისი შემოღება კახეთის ყველა სოფელში ერთობ შეავიწროებს ხალხსო. საჭირო ღონის ძიებანი მარტო იმ ადგილებში უნდა იქმნას მიღებული, საცა ავადმყოფობა არის და არა ყველგანაო.

*** კვირას, 9 თებერვალს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის—ბ-ნ იანოვსკის თანადასწრებით, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში საკვირაო კურსები გაიხსნა. 106 მსურველი იყო ჩაწერილი, რომელთაგან მოვიდნენ 80 კაცამდის. ყველა საგნების სწავლება იმ დღესვე დაიწყეს, გარდა ფიზიკისა და ქიმიისა.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ სწერენ საჩინოდგან (ქუთაისის მაზრაში), რომ იმას შემდეგ, რაც „ურიები“ შარშან ცეცხლმა გაანადგურა, ბევრმა მოიწადინა ბაზრის ურიებიდგან „საბექა“-ში გადატანა, რადგან ეს დიდ სარგებლობას მისცემდა „საბექა“-ს მამულის პატრონთა, მაგრამ საგუბერნიო მმართველობამ ამათი თხოვნა არ შეიწყნარა და ბაზარი ისევ ძველს ადგილას დარჩაო.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ სოფ. დიდ-ჯიხაიში (ქუთაისის მაზრაშია) წარსულ დეკემბერში ქვრივი ირინე ლორთქიფანიძის სახლს ვიღამაც ცეცხლი წაუკიდა და გადასწვაო. ეს სახლი და რაც იმაში ავეჯი იყო, მთელს ავლა-დიდებას შეადგენდა საწყალი ქვრივ-ობლისასო, რადგან იმათი მიწა წყალი ერთმა, მთელს ქუთაისის გუბერნიაში ცნობილმა მოვახშემ სულ მუქთად ჩაიგდო ხელშიო. როგორც კორრესპონდენტი ამბობს, გუმანი სწორედ ამ მოვახშეზედ მიუტანიათ, იმისგან არის სახლი გადაბუგულიო, რადგან სურდა, რომ ლორთქიფანიძის ქვრივი მამულიდგან გაეძევებინაო. ამ საქმის გამოძიება ხონის გამომძიებელს აქვს მინდობილი და იმედია, დამნაშავე აღმოჩენილი იქმნებაო.

*** რათა ვენახის მეპატრონეთ საშუალება მიეცეთ ვაზის სენთან საბრძოლველი წამლი იაფ ფასად შეიძინონ, სამიწად-მოქმედო მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს წერილით მიუმართავს ევროპის რამდენისამე გამოჩენილ სავაჭრო სახლისთვის და უთხოვნია, გამაგებინეთ რა ფასად დაგვითმობთ ხსენებულს წამლებსაო. სხვა ფირმის პატრონთა შორის საფრანგეთიდგან ვერმორელს მოუწერია: წმინდა შაბიამანს ბათუმში გამოვგზავნით ფუთს მანეთ-ნახევრად და გოგირდს სამ აბაზად, მაგრამ იმ პირობით, რომ ერთბაშად 5 ათას კილოგრამაზედ ნაკლები არ გამოიწეროთ და ამასთანავე დამოკნის ბაჟიც თქვენვე გადაიხადოთო. ბ-ნი მედვედევი, კავკასიის საფილოქსერო კამიტეტის დადგენილების თანახმად, უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობს ამ თავად, რომ ვენახის საწამლებელ საშვალებაზედ ბაჟი შემცირდესო.

*** შაბათს, 8 თებერვალს, ტფილისის კლუბის დარბაზში ბალი იყო გამართული ქართულ დრამატიულ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად. ბალის დიასახლისად ბრძანდებოდა უგანათლებულესი კნეინა თ. დ. გრუზინსკისა. ბალს საკმაოდ ბევრი საზოგადოება დაესწრო, რომელთაც ძალიან მხიარულად გაატარეს დრო. ევროპიულს ცეკვაროკვას მოჰყვა ჩვენებური ლეკური, რომლის ცქერამაც დიდად დაატკბო იქ მყოფნი. ბალიდგან ზოგიერთნი გათენებისას დაიშალნენ.

*** ქუთაისის გუბერნიის სოფელ კურსევისა, მანდინარისა და გურის საზოგადოებათ მიჰმართეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას და სთხოვეს, რომ სამგზავრო ბაქანი გაჰმართეთ ტყვიბულის შტოს მე-14 ვერსზედ, გელათსა და გოგირდის წყლის (Сѣрныя воды), სადგურებს შუა, ორპირს ახლოო. ბაქანის გამართვის ხარჯს ჩვენვე ვიკისრებთ და, ამას გარდა, პირობას გაძლევთ, რომ აქედგან 10,000 მგზავრი ივლისო.

*** ტფილისის მოქალაქეთა მოხსენება იმის შესახებ, რომ გარდასახადთა მამასახლისად ნამყოფს პავლე პაპალოვს, საზოგადოებისა და სახელმწიფო ფულიდგან 8,370 მან. 18 კაპ. გაუფლანგავსო., ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა გარდასცა მომრიგებელ სასამართლოს მეორე განყოფილების გამომძიებელს, რომელიც აწარმოებს საქმეს იმავე პაპალოვის მიერ მოქალაქეთა საზოგადოების 2664 მან. გაფლანგვის შესახებ.

*** დ. ჩოხატაური. წელს ჩვენკენ ერთობ ცუდი მოსავალი იყო, სიმინდი, ღომი და ღვინო წლის სამყოფი არავის არ მოსვლიათ. ნაქურჩელა მოუვიდათ, ისიც უცებ შეისყიდეს იქაურმა ჩარჩ-ბაცაცებმა მესამედ ფასად. და ისედაც შევიწროებულს გლეხებს მთლად მოუსპეს ცხოვრების სალარი.

*** ქ. ოზურგეთი. 26 იანვარს განსვენებულ ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების წლის თავზედ ოზურგეთის ტაძარში ამ ტაძრის მღვდლებმა დ. დუმბაძემ, მ. სიხარულიძემ და გალოგრემ, სხვების თანაშემწეობითაცა, განსვენებულის ნათესავის მ. ჯ. თაოსნობით, გარდაიხადეს პანაშვიდი. ამ ღვთის მსახურებას საზოგადოება მრავლად დაესწრო, მათ შორის ოზურგეთის ქალაქის მოურავი თ. თავდგირიძე, ხმოსნები, თავად-აზნაურობა და სხ. ამ დღესვე ბ-ნი ქორიძის ხორო ქართულად ჰგალობდა ეკლესიაში.

საკვირველია მხოლოდ ერთი რამ და ეს ერთი რამ ის არის, რომ ბ-ნს ქორიძეს თავისი გალობა არ დაუმთავრებია. მიზეზი ამისა, თუმცა ბევრი გამოვიკითხეთ, ვერა გავიგეთ-რა, და კარგი იქმნებოდა, რომ იგი გამომჟღავნდეს.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. თეკლათი** (ახალ-სენაკი) უცნაური ამბავი მოხდა ს. ქვემო-თეკლათში. ერთს აქაურს მცხოვრებს, გვარად გარუჩავას ამ იანვარში ღამით ყაჩაღები ეწვივნენ, თავიდგან ფეხამდი შეიარაღებულნი. ამ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მასპინძელს ცხელ-ცხელი საჭმლის გაკეთება დაავალეს. თავ-ზარ დაცემულმა მასპინძელმა ურცხვისა და მოულოდნელის სტუმრების ბრძანება აღასრულა. დიასახლისი დაფაცურდა და მოართვეს ის, რითაც შეეძლო გამასპინძლება. ყაჩაღების ამ სახლში ყოფნა გაიგო ზემოხსენებულის გლეხის უფროს ვაყიშვილს, რომელიც მამასთან გაყრილია და ცალკე სცხოვრობს. ამ კაცს ეს ამბავი მაშინვე ადგილობრივ ბოქაულისათვის უცნობებია. ბოქაული მოემზადა წასასვლელად და ამათ დასაჭერად, რამდენიმე საჭირო კაცებიც შეკრიბა და მიიჭრა იქ, სადაც ყაჩაღები კახშმობდნენ და „კუდს ბედნიერს“ და „დროს კატარებ ლხინითაო“-ს მღეროდნენ. მაგრამ ყაჩაღებს თავისთვის ეშველათ და სანამ ბოქაული მივიდოდა, მანამდი გაქცეულიყვნენ.

ამის შემდეგ გავიდა ერთი კვირა, ისევ ეს ყაჩაღები ამ გამცემ კაცს ესტუმრნენ და უთქვათ: „შენ, ან მამა შენს ჩვენ რას გვრჩოდით, რომ შენ ჩვენ დასაჭერად პოლიციასთან მირბოდიო,“ რადგანაც გაგვეცი და გაგვყიდე, ვით იუდა ისკარიოტელმა ქრისტე, შენც უნდა სამაგიერო გადაგვიხადოთო. მოატანინეს ამ კაცს თავის ხელით ბაწარი და წაიყვანეს ცოლიანად პირდაპირ მამასთან. მამისათვის ეთქვათ, ძალიან მაგრად შეუკარი ხელ-ფეხიო. მამამ, მეტი რა გზა ჰქონდა, აღასრულა ბრძანება. აბა შენი დანა კარგად გალესე და მოიტანეო. ესეც აღასრულა საწყალმა მამამ. ერთს ყაჩაღთაგანს ეთქვა: ამისგან ჩვენ მაინც მკვდარი ვართ და ესეც სიკვდილით დავსაჯოთო, ე. ი. ცეცხლში უნდა დავწვათო. დაწვაზე უარი ეთქვა მეორე ყაჩაღს. შემდეგ ამისა ამ კაცის მოხუცებულ მამისათვის ეთქვათ: აბა თავი გაუპარსე შენს შვილსაო. მოპარსა თურმე მამამ შვილს თავი. აბა მარჯვენა წარბი მოპარსე. ესეც მოპარსა მამამ. ახლა მარცხენა ულვაში და მარჯვენა წვერი მოჰპარსეო. უბედურმა მამამ ეს უკანასკნელი ბრძანებაც აღასრულა. ამის შემდეგ ყაჩაღები გაქცეულან და მამისთვის უთქვამთ: შენი მადლობელნი ვართ, ხოლო შენი შვილი ხვალ წავიდეს და აჩვენოს თავისი თავი იმას, ვინც ჩვენ დასაჭერად გამოგვიყვანაო...

ამ ამბავმა დიდს ფიქრსა და სავონებელში ჩააგდო აქაურები... რა-კი დაღამდება დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, რაც უნდა გასაჭირი ჰქონდეს, გარედ გამოსვლას ვერ ჰბედავენ. სამწუხაროდ და სავალალო ასეთი თავ-გასულობა ყაჩაღებისაგან. ნეტავი გვეღირსება ის დრო, როდესაც მათი შიში აღარ გვექნება?!.

ტელეფონი.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსულ ჟურნალში „**Недѣля**“-ში დაბეჭდილია ტფილისიდამ წერილი სახელად „**Кавказская утопія**“. იგი წერილი შეეხება ეგრედ წოდებულ „გლეხთა სამეურნო ფულს ტფილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათათვის“, განზრახულს ტფილისის გუბერნატორის მიერ შედგენილ პროექტითა.

სამწუხაროდ ჩვენდა უნდა ვსთქვათ, რომ ავტორი ამ წერილისა მეტად მძიმე საქმეს სუბუქად მოჰკიდებია და, რამოდენადაც ჩვენ მივწვდით მის წერილს, მთლად უცოდინრადაც. ჯერ პირველი ის, რომ ავტორს იმ დედა-აზრისათვისაც ვერ მიუგნია, რომელიც ქვა-კუთხედად დადებული აქვს პროექტს და თავიდამ ბოლომდე გატარებული მთელის თავისის სიგძე-სიგანითა. ეს კიდევ არაფერი, რომ ზოგადი აზრი, არსებითი საგანი ამ პროექტისა სრულიად ვერ უცვნია: თვითეული ცალკე მუხლიც წესდებისა ვერ გაუთვალისწინებია, ვერ გაუგია რიგიანად. ჩვენ როცა შემთხვევა გვექნება, იქნება ამ საგანს კიდევ მოვუბრუნდეთ და თვალსაჩინო საბუთები წარმოვადგინოთ ჩვენის სიტყვისა. ეხლა მარტო საკმაოა თუნდ ერთი საბუთი მოვიყვანოთ იმისი, რომ ავტორი ტყუილად მომცდარა დაცინვისათვის. მაგალითებრ: პროექტს სხვათა შორის საგნათა აქვს, რომ გლეხთა საზოგადოებამ მისდა კუთვნილ სამეურნო ფულიდამ იყიდოს მიწები, ტყეები, გაატაროს არხები სარწყავად, აიშენოს საჭირო შენობანი საზოგადო სახმარად დ სხვანი. სხვათა შორის ნაჩვენებია პროექტში ჯიშიან საქონლის სყიდვაც, რომ განიკარგოს პირუტყვის ჯიში სოფლებში. რა გზით შეუძლიან საზოგადოებამ ამისთანა საჭიროება დააკმაყოფილოს? § 34 დ შემდეგი მუხლები წესდებისა ამის გამო ამბობს: რა ნაირიც გინდ იყოს საზოგადო საჭიროება, იმის საჩვენებლად უნდა სასოფლო განაჩენი შესდგეს სოფლის ყრილობისაგან ორის მესამედის ხმის უმეტესობით. განაჩენში ნათლად და ნამდვილად უნდა იყოს აღნიშნული საგანი საზოგადო საჭიროებისა და რაოდენობა ფულისა, რომელიც უნდა მოუნდეს მაგ საჭიროებას. ეს განაჩენი მაზრის უფროსს უნდა წარუდგეს და ამან თავისის აზრით წარუდგინოს გუბერნატორს. გუბერნატორიც კი თავისით არა სწყვეტს ამ განაჩენში მოხსენებულს სურვილს სოფლის საზოგადოებისას. მან უნდა მოიწვიოს შეერთებული კრებული ტფილისის გუბერნიის მართველობისა დ გლეხთა საქმეთა გამგეობისა. მარტო ამ კრებულსა აქვს უფლება ან უარი უთხრას განაჩენზე სოფლის საზოგადოებას, ან ნება დართოს გაიტანოს ფული, რომ განაჩენში მოხსენებულ საჭიროებისათვის მოიხმაროს. ყოველივე ეს მოხსენებულია წესდების §§ 34, 35, 36 და 40.

ამის შემდეგ რას ამბობს ახლა ავტორი ცოტა არ იყოს დაცინვით და წყრომითაც: ვინ უნდა უყიდოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებას მიწები და სხვა ამისთანა? ან უჩასტკის პოლიციამ, ან ეს უნდა იქმნას იმის აუცილებელ და ძალიან დაახლოვებულ მონაწილეობითაო. ვინ უნდა გაატაროს არხები, აშენოს წისქვილები და სხვა საზოგადო შენობები? უჩასტკის პოლიციამო. ვინ უნდა დაიბაროს და იყიდოს ჯიშიანი საქონელი, სამეურნოე იარაღი და სხვანი და ვისის წარდგენითა და შემწეობით? უჩასტკის პოლიციამ და უჩასტკის პოლიციის წარდგენითა და შემწეობითაო.

ავტორი თვითონვე ჰხევს და თვითონვე ჰკერავს, როგორც ეტყობა. ვთქვათ, შეეძლო თავისის თავისათვის ყოველივე ეს ეკითხნა, ხოლო პასუხი კი წესდებაში უნდა მოენახა და იქ ამოეკითხა და არა თავისით მოეგონა. ნუ თუ ზემოხსენებულ მუხლებში სადმე ან ერთი სიტყვა ამხელს უჩასტკის პოლიციის მონაწილეობას ამ საქმეში? ნუ თუ ცხადი არ არის, რომ ამისთანა საქმეებში წესდება სრულს თაოსნობას აძლევს თითონ სოფლის საზოგადოებას? ვისიც წარდგენით უნდა იყოსო, ჰკითხავს თავის თავს უცნაური ავტორი. ნუ თუ ცხადი არ არის ზემოხსენებულ § 34 მუხლში ვისის წარდგენით უნდა მოხდეს ყოველივე ის, რაზედაც ასე ოხუნჯობს ავტორი. ნუ თუ აქ საკითხავია, ვინ უნდა გააკეთოს არხები, წისქვილები, ვინ უნდა იყიდოს მიწები და სხვა ამისთანა? ამას კითხვა-ლა უნდა, თუ კაცი მეტად მოცლილი და უსაქმური არ არის. ვინ? და იმან, ვისაც თვითონ საზოგადოება დაავალებს, მიანდობს, ვისაც მოურიგდება. ამის გამოცნობას დიდი ხაზი და ლარი უნდა განა? საიდამ ჩამოურევია ავტორს აქ უჩასტკის პოლიცია? ეგ თვითონ ავტორსა ჰკითხეთ, და ჩვენ კი ამას ვიტყვით: მინამ კაცი საქმეს ხელს მოჰკიდებს, სახტომი უნდა გასინჯოს და იცოდინოს!

## მოსამსახურეთა საზოგადოების გამო

რადგან „ივერიაში“ ჯერ არა დაბეჭდილა-რა „ტფილისის მოსამსახურეთა საზოგადოების შესახებ, ამისათვის მსურს ვაცნობო თქვენს მკითხველებს ცოტა რამ ამ საქმის ვითარებისა: ტფილისში მოსამსახურეთა რიცხვი ხუთი ათასს აღემატება და ზოგიერთის მათგანის მდგომარეობა ფრიად სამწუხარო და დასაფიქრებელია. ყოველ წელს ჩამოჰყავთ ტფილისში ასობით და ათასობით მცირე წლოვანი, ნორჩნი და სტოვებენ ღვთის ანაბარად. ჯერ ადგილის შოვნაა იმათთვის გასაჭირი და მერე ღმერთმან უწყის, როგორის ზნისა და ხასიათის კაცის ხელში მოხვდებიან ეს ბავშვები. მეტადრე უადგილოდ დარჩენის დროს არის აუტანელი და სამწუხარო იმათი მდგომარეობა. უფროსს ერთს არა თუ ნათესავი არა ჰყავს ტფილისში, უბრალო ნაცნობიც არ გააჩნია, რომ კეთილი რჩევა მისცეს, სიტყვიერად მაინც დაეხმაროს და ორიოდე ღამე მაინც გაათევინოს უადგილოდ დარჩენილს და თავ-შესაფარებელი ბინა აღმოუჩინოს. რადგანაც სხვა ღონე და სახსარი აღარ აქვსთ, ყველა უადგილოდ დარჩენილთა ბინა და თავშესაფარი დღეს ტფილისში მხოლოდ ტრაქტირებია, სამიკიტნოები, ლუდხანები და სხვა ამ გვარი ადგილები, სადაც ლოთობასა და ყოველ გვარს უზნეობას მაღლა აუმართავს თავისი დროშა და სადაც თავს იყრის ყოველი ავის მომქმედი და ზნეობით წამხდარი.

მუდამ ცუდს წრესა და ცუდს ხალხში ყოფნა თავისს სამწუხარო დაღს ასვამს ადამიანს და თუ ვინმე გამოჰრევია ან გამოერევა ხოლმე მოსამსახურეთა შორის ცუდი კაცი, უმეტესს შემთხვევაში სწორედ ამ უპატრონობას და მუდამ ამისთანა ადგილებსა და ცუდ ხალხში ყოფნას უნდა დაჰბრალდეს. ან რა გავლენა უნდა იქონიოს იმისს ნორჩს, ჯერ განუვითარებელს ხასიათზედ იმ ადგილმა, რომლის კედლებიც კი მხოლოდ უკუღმართს გზაზედ დადგომას ეჩურჩულება ყურში.

მოსამსახურე ამ ყოფაში რჩება რამდენიმე ხანი, ვეღარ ისტუმრებს სამიკიტნოებში დანახარჯს, ტანისამოსი შემოეხევა, ფეხ-საცმელი შემოაცვდება და აღარც ფული გააჩნია. შემოგლეჯილ-დაკონკილს ადგილზედ აღარავინ მიიღებს, შინაც — სახლში არ დაბრუნდება „თავის მოსაჭრელად“ და „ქვეყანაში შესარცხვენად“. არ მახსოვს და არა ყოფილა მაგალითი, რომ ქართველ მოსამსახურეს გაჭირვების დროს ოჯახისათვის მიემართოს. ის თავის ჩამორჩობას უფრო ადვილად იკისრებს, ვიდრე დაგლეჯილის ტანისამოსით შინ დაბრუნებას.

ამ გვარ უკიდურესს გაჭირვების დროს გაჩნდებიან კინტო-ჯიბგირი ძმა-ბიჭები, შეუჩნდებიან, ათასს რასმე დაჰპირდებიან და თუ ძალიან მტკიცე ხასიათისა არ არის, გაჭირვებისა გამო ყველაფერზედ ადვილად დაითანხმებენ და გადააცდენენ გზასა ჭეშმარიტებისასა. მერე წავა და წავა, იმისი გამობრუნება საკეთილოსაკენ ძალიან ძნელია ხოლმე, თუ შეუძლებელი არა.

ამან და ბევრმა სხვა მოსამსახურეთა სათვალდათვალო გაჭირვებამ დიდად დააფიქრა ზოგიერთი გულშემატკივარი ამ 17—18 წლის წინად, მოინდომეს „ტფილისის მოსამსახურეთა საზოგადოების“ დაარსება, ბევრი იშრომეს, წესდებაც შეიმუშავეს ამ ფრიად კეთილის და სასარგებლო საქმისათვის, კრებაც ბევრჯელ გაიმართა, რომელსაც 500—600 ტფილისის მოსამსახურე ესწრებოდა. მოაწერეს ხელი, ამოირჩიეს კაცები და იმათ მიანდეს ამ წესდების დამტკიცებისათვის ზრუნვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამორჩეულებმა ვერ იმხნევეს და ვერ გაუძლვნენ ამ საქმეს სასურველად. ასე რომ არ მომხდარიყო, ეხლა ეს საქმე დიდი ხნის დაგვირგვინებული იქნებოდა.

ამორჩეულთა რიცხვში ერთი მეც გახლდით, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემის საკუთარის მიზეზებისა გამო მონაწილეობა ვეღარ მივიღე ამ ფრიად სასარგებლო და კეთილს საქმეში და ასე დარჩა იგი დღევანდლამდის. დღეს ხელ-ახლად შევუდექით ამ საქმის სისრულეში მოყვანას. რამდენისამე კერძო კრების გარდა, სამშაბათს, 4 თებერვალს, კრება გვქონდა დანიშნული ჩემს სადგომში ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ზუბალოვის სახლში, სემინარიის პირდაპირ, სადაც იმდენი ხალხი დაესწრო, რამდენსაც-კი სახლი დაიტევდა, დანარჩენნი-კი უადგილობის გამო უკანვე ბრუნდებოდნენ. კრებამ განიხილა უმთავრესი მუხლები ძველის წესდებისა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამ ახალს საზოგადოებას აზრადა ჰქონია:

„უშოვნოს სამუშაო თავისს წევრებს. მოუპოვოს მათ ღამის გასათევი ბინა და იაფ-ფასიანი საზრდო. მისცეს მათ და იმათს შვილებს სწავლის საშუალება. დაეხმაროს ყოველის მხრით დავრდომილთა და ავადმყოფ წევრთ და იმათს ქვრივ-ობოლს. ამ აზრის განსახორციელებლად მან უნდა გაჰმართოს მოსამსახურეთა დასაქირავებელი ბიუროები, რომ ყველას შეეძლოს სამსახურისა და სამუშაოს შოვნა. გამართოს საცხოვრებელი ადგილები, სადაც უბინაოდ დაშთენილთ შეეძლებოდეთ დროებით იაფ-ფასიანის თავ-შესაფარის და საზრდოს მოპოვება. სასწავლებლები, რომ კვირა-უქმე დღეობით სწავლობდნენ მოსამსახურეები და იმათი შვილები. შეიძინოს ამავე საქმისათვის უძრავი და მოძრავი ქონებანი; იკისროს ალაპების და საქორწილო სადილ-ვახშმის გამართვა; მოიპოვოს საკუთრებად ჭურჭელი და სხვა მოწყობილობანი, გაჰმართოს საკუთარი ვაჭრობა, — როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს: მწარმოებლად ამ საქმისა საზოგადოებამ უნდა აირჩიოს გამგეობა, რომელსაც ეყოლება თავის მხრივ ყოველის საქმის მცოდნენი.

წევრთა რიცხვი საზოგადოებისა განუსაზღვრელია. საზოგადოების წევრებად ყოფნა შეუძლიანთ ყოველი წოდების და ორისავე სქესის ადამიანთ. წევრნი უნდა იყვნენ: დამფუძნებელნი, საპატიონი და ჩვეულებრივნი.

საზოგადო კრებამ 4 თებერვალს ერთხმად მოიწონა ძველი წესდება, მხოლოდ რადგანაც იმის შედგენის აქეთ 17—18 წელიწადია განვლილი და დღეს დროთა ვითარებისა გამო საჭიროა წესდების ზოგიერთი მუხლი შეცვლილ და შევსებულ იქმნას, ამისათვის კრებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ეს საქმე. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნნი ანდრია ღულაძე, ლადო ალნიაშვილი, ალ. თოიძე, ექვთიმე კვაჭაძე და სოსიკო მერკვილაძე. ამათ უნდა გადასინჯონ ძველი წესდება, შეიმუშაონ იგი, მოიწვიონ კრებები მოსამსახურეთა შორის ამ კეთილის საქმის გამოსაღვიძებლად და განსახორციელებლად. წესდების შემუშავების შემდეგ მოწოდებულ იქნება საზოგადო კრება ტფილისის მოსამსახურეებისა და მათ წარედგინება განსახილველად დამზადებული და შემუშავებული წესდება.

სოსიკო მერკვილაძე—მაჭავარიანი

## რუსეთი

—

მთავრობას იმ აზრით, რომ რუსეთის პურის ვაჭრობა უფრო განვითარდეს საზღვარ-გარეთ, განუზრახავს გაჰმართოს ელევატორები დასავლეთ ევროპის რამდენსამე ადგილას, მაგალითებრ ტრიესტსა, მარსელსა და სხ. და გააუქმოს სავაჭრო გარდასახადი, ნავთ-სადგურებში პურის ჩაყრაზედ დადებული.

—

რუსეთში დიდი ხანია ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ აწინდელ სასწორ-საწონის ნაცვლად მეტრიული სისტემა იყოს შემოღებული, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოებშია. ამ ცვლილებათა შემოღება იმითი დაიწყება, რომ უნდათ სასწორ-საწონის მეთვალ-ყურეობა ქალაქის გამგეობათ აღარ დაუქვემდებარონ და განსაკუთრებული სასწორ-საწონის შესამოწმებელი დაწესებულებანი გაჰმართონ. ამას გარდა ერთნაირი მეტრიული სისტემა ნელ-ნელა იქნება შემოღებული მთელს რუსეთში.

—

სარატოვის გუბერნიაში პეტროვსკის მაზრის ერობას გადაუწყვეტია შემოიღოს საზოგადოდ სავალდებულო სწავლა. გუბერნიის ერობის კრებაზედ პეტროვსკის ერობის ხმოსანს, ბ ნ ერმოლაევს უთქვამს რომ: „ეს საქმე დაწვრილებით შეიმუშავა და შეისწავლა ჩვენმა ერობამ, მაგრამ საუბედუროდ, ამ უკანასკნელს ქონებრივი ძალა არა აქვს ამ კეთილი საქმის განსახორციელებლადო. ამიტომაც ერობამ გარდასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა მთავრობამ ამ საქმისათვის ერობას წლიურად 25.000 მან. დაეხმაროს. თქმა არ უნდა, რომ ამ შუამდგომლობას თანაგრძნობით მოეკიდება ფინანსთა სამინისტრო, რადგანაც თვით ბ-ნი მინისტრი ვ. ი. ვიტტე და ამავე სამინისტროს ორგანი დიდ მნიშვნელობას აძლევენ საზოგადო სავალდებულო სწავლის საქმეს და პირდაპირ იწვევენ მთავრობას ამ საქმის დასახმარებლადო“...

—

ფინანსთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ ის ფული, რომელიც საქონლის ჭირთან საბრძოლველად არის დანიშნული, შეიძლება მოხმარდეს შინაურის საქონლის ჭირის და სხვა გადამდებ სნეულებასთან ბრძოლასაო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა და გზათა სამინისტროთა თანხმობით, ბრძანება გაუცია ღონისძიება რამ იღონეთ თურქულის წინააღმდეგ, თუ ეს სენი გაუჩნდა იმ საქონელს, რომელიც რკინის გზით გადაჰყავთ ერთის ადგილიდგან მეორე ადგილასაო.

## ნაწყვეტი

—

მალხაზო ბიჭო, პატარავ,
სწავლას მოსჭიდე ხელია,
სწავლა მადლია უფლისა,
სწავლა კეთილის მქნელია,
სწავლა ცხოვრების ცოდნაა,
სწავლა ჭირისა მკვლელია,
სწავლა ხმალი და ხერხია,
სწავლა ბედკრულთა მხსნელია!

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

ერთი ინგლისელი პოეტი ამ დარიგებას აძლევს იმას, ვისაც ცოლის შერთვა ჰსურს: „შეირთე ცოლი სიყვარულით, თუ გინდა მართლა ნამდვილი ცოლი გყავდეს. თუ ფულის გულისათვის შეირთავ, მაშინ „ცოლი“ კი არა, „ბატონი“ იქნება. თუ იმისათვის შეირთავ, რომ დიდ-კაცობაში ფეხი ჩასდგა და ადგილი მოიპოვო, მაშინ „ცოლი“ კი არა, „დამა“ იქნება. „ცოლს“ ეყვარები, „ბატონი“ შეგიწყალებს, „დამა“ შეგიწუნარებს, შეგიშვნევს. „ცოლი“ შენთვის იქნება, „ბატონი“ სახლისათვის, „დამა“ საზოგადოებისა და სტუმრებისათვის. „ცოლი“ შენს რჩევას დაიჯერებს. „ბატონი“ შენ თვითონ გიბრძანებს, „დამა“ ყურსაც არ გათხოვებს ხარ სადმე, თუ არა. თუ ავად გახდები, „ცოლი“ მოგივლის, „ბატონი“ ხანდისხან დაგხედავს, „დამა“ მოკითხვით გიკითხავს. „ცოლი“ ჭირსა და მწუხარებას შუა გაგიყოფს, „ბატონი“ — შენს ფულს, „დამა“ ვალებში ჩაგსვამს. როცა აღსრულდები, „ცოლი“ გიტირებს, „ბატონი“ შეგიბრალებს, კაი საწყალიო, „დამა“ შავებში მოირთვება.

## ჟურნალ გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ადამიანი უყურებს რა კაცობრიობის ჭკუისა და გონების ნაღვაწსა და მსწავლულთა და მეცნიერთა დაუძინებელს მხნეობას, მიმართულს მასზედ, რომ ადიმიანს თითქმის აღარა გაუჭირდეს-რა, მთლად დაიმორჩილოს და იმსახუროს ბუნების ძალ-ღონენი თვისის სიცოცხლის და ცხოვრების უშიშრად და კეთილად მოსაწყობად, — ვამბობთ რა უყურებს და ჰხედავს ყოველს ამაში ამდენს ძლევა-მოსილობას და გამარჯვებას, რის მოწამენიც დღეს ყველანი ვართ, იმედი ეძლევა, რომ ყოველს აღმოჩენილს საკვირველებას სხვა უფრო მომეტებული საკვირველება მოჰყვება და ამ იმედს და მოლოდინს სამზღვარი არა აქვს, როგორც ეტყობა.

რა არის, მაგალითებრ, რკინის გზა, ტელეგრაფი? რას მოასწავებს ან ერთი, ან მეორე ცალკე ანუ ორივენი ერთად? ეგენი პირველნი საფეხურნი არიან ადამიანის სულთა-სწრაფვისა, რომ მანძილს კაცთა შორის მნიშვნელობა აღარა ჰქონდეს, მანძილი გააუქმოს და, თუ ეს შეუძლებელია, იქამდე მაინც დააქვეითოს, რომ თითქმის ანგარიშში მისაღები არ იყოს. ამას ეტანება ეხლა განათლებული კაცობრიობა სხვათა შორის და არ ითქმის, რომ ამ გზაზედ სვლა უნუგეშო და უიმედო იყოს.

რაც რკინის გზა გაჩნდა ქვეყნიერობაზედ მას აქეთ ბევრით მეტი არ არის ორმოცდა ათს წელიწადზედ. პირველში ისიც საკვირველი იყო, რომ რკინის გზას საათში 25—30 ვერსტი მანძილი დეეძლია, ეხლა-კი ამ ციებ-ცხელების დროს, როცა ადამიანს ყოველის წუთის დაკარგვა და უქმად გატარება ენანება, ვითარცა დაკარგვა ქონებისა, ევროპაში და ამერიკაში აღარ სჯერდებიან 50—70 ვერსტსაც საათში და რკინის გზას მეტს სისწრაფეს სთხოვენ.

რა თქმა უნდა, ეს საჭიროება, ეს თხოვნა ხმად-მღაღადებელად უდაბნოში არა რჩება და ადამიანის გამჭრიახობამ და მხნეობამ ლამის იქამდინ მიაღწიოს, რომ რკინის გზას ფრთები შეასხას და ქარზე უმალეს ატარებინოს ადამიანი. ამერიკაში ეხლა იშვიათი არ არის 90 ვერსტის გავლა საათში რკინის გზით. ამაზე მეტსაც დადის თურმე, ხოლო საცდელად და არა საყოველთაო სატარებლად. ამ ორის წლის წინად საფრანგეთშიაც სცადეს სისწრაფე რკინის გზისა და აღმოჩნდა, რომ კარგა ძლიერს ლოკომოტივს შეუძლიან საათში $112^{1}/_{2}$ ვერსტი გაირბინოს, თუ მეტად აღმართ-დაღმართი არ არის და მისახვევ-მოსახვევი. თითქმის იმავე ხანებში ინგლისში ერთს ლოკომოტივს სამი ვაგონი გამოაბეს და სამ საათს ნახევარში 345 ვერსტი გაირბინა, ორთა შუა რიცხვით 106 ვერსტი გაიარა საათში, იყო იმისთანა ადგილები, საცა 123 ვერსტი საათში გაირბინა. ამერიკაში საცდელადვე უტარებიათ ყოველ-დღიური ორთქლის ლოკომოტივი და გაუვლია საათში 155 ვერსტი.

ასეთი სისწრაფე სიარულისა იმ ლოკომოტივებით, რომლითაც ეხლა დადიან რკინის გზაზე, მეტად საშიშარია. ეხლანდელმა ლოკომოტივმა, რაკი ორთქლით დადის, არ შეიძლება თურმე დიდ სისწრაფით იაროს უიმისოდ, რომ არ იტოკოს, არ იქანოს ძალიან, ამისი მიზეზი ორთქლია. ეს ტოკვა-ქანება რაც უფრო სწრაფად მიდის ლოკომოტივი, მით უფრო მატულობს და გზიდამ გადმოვარდნა თვლებისა და მაშასადამე, დამსხვრევა და წახდენა მთელის

მატარებლისა და ამასთან ადამიანისაცა ადვილად საფიქრებელია.

რადგანაც სურვილი სწრაფად სიარულისა დიდია და ეხლანდელს ღონეს სიარულისას ამისთანა აუცილებელი შიში მოსდევს, რა თქმა უნდა, სხვა რამ უნდა მოეგონათ, რომ ორთქლის ლოკომოტივის მაგიერობა გაეწია და ეს შიში აღარ მოჰყოლოდა. ჩაავლეს ხელი ამისთანაებში ყოვლად მხსნელს ელექტრონს. საფრანგეთის ინჟენერმა ჰეილმანმა ამ სამის წლის წინად გაჰმართა აქამდე უცნაური ლოკომოტივი, საცა ორთქლი ჰშველის მარტო ელექტრონის გაჩენას და ელექტრონი-კი თავისის მხრით სძრავს და ატარებს ლოკომოტივს.

ამ სახით ორთქლის ფეთქებით და ხეთქებით სვლას და აქედამ ტოკვა-ქანებას ლოკომიტივისას ბოლო მოეღო და შიში აღარაფრისაა, რადგანაც ელექტრონი უჯახა-ჯუხოდ, უტოკვ-უქანებლად ამოქმედებს ლოკომატივს. ამას წინად უკვე აუგიათ საფრანგეთში ორი ამისთანა ლოკომოტივი და იმედი აქვთ 94 ვერსტს გაივლის საათში ყოვლად უშიშრადაო. რა თქმა უნდა, თუ საფრანგეთში ამ ლოკომოტივებმა თავი დაიჭირეს და გაამართლეს იმედი, დღეს არა ხვალე ამისთანა ლოკომოტივებს ყველგან შემოიღებენ.

ამ საქმეში მაინც ამერიკამ აჯობა ევროპასა. შარშან თიბათვეში იქ გამართეს კიდეც ელექრტრონით სავალი რკინის გზა და ხალხი უკვე მიჰყავთ მოჰყავთ იმისთანა სისწრაფით, რომ საათში 106—122 ვერსტს გადიან. ამერიკელებს ესეც ეცოტავათ. შარშან იქ შესდგა ერთი საზოგადოება, რომელსაც ძირის ფულად ოცდა-ათი მილიონი დაუდვია და აზრადა აქვს ნუიორკსა და ვაშინგტონს შუა ელექტრონის რკინის გზა გაიყვანოს ისეთი, რომ უშიშრად გაიაროს 170 ვერსტი საათში.

წარმოიდგინეთ, რა თავ-ბრუს დამსხმელი სისწრაფე უნდა იყოს, რომ მაგალითად, ტფილისიდამ თელავამდე, ან გორამდე კაცს მოუნდეს მარტო ნახევარი საათი სიარული! რაკი ასე მოემარჯვა ადამიანს ამ ელექტრონის რკინის გზის საოცარი სისწრაფე. საკვირველი არ იქნება, რომ დღეს ან ხვალ შევიტყოთ, რომ მოუგონიათ იმისთანა რამ, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს 200—250 ვერსტი ერთ საათში გაირბინოს კაცმა. ამ რამდენისამე წლის წინად ვენის ინჟენერმა ციცერნოვსკიმ უკვე იმედი წარმოსთქვა, რომ ამისთანა სისწრაფეს მოესწრობა ადამიანიო. შეუძლებელი აქ არა არის-რა, როგორც ზემოხსენებულიდგან ჰსჩანს. 200—250 ვერსტი საათში!.. განა უსაბუთო იქნება ამის შემდეგ ადამიანმა თავ-მოწონებით სთქვას: ჩემთვის მანძილი აღარ არსებობსო.

კიდევ შაბაშ სწავლა-მეცნიერებას.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა შევსწირო ოლგა ქორქაშვილის ასულს, რომელმაც გამომიგზავნა 144 მ. 80 კ. ქ. ქუთაისს 21 გიორგობისთვეს ჩემდა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდგან შემოსული ფული. აგრეთვე უგულითადესს მადლობას ვსწირავ ყველა იმათ, ვინც რითიმე მონაწილეობა მიიღო ამ წარმოდგენის გამართვაში.

სალომე კერესელიძის ასული.

ქ. მოსკოვი.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

9 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესნი ბრძანებანი: დანიშნულ იქმნენ: ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პროფესორი, ოდესის ქალაქის მოურავი ლიგინი—ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად; ვენის საელჩოს მრჩეველი გრაფი ბენკენდორფი და რომის პაპასთან მყოფი მინისტრ-პრეზიდენტი იზვოლსკი—საგანგებო ელჩებად და რწმუნებულ მინისტრებად პირველი დანიაში, ხოლო მეორე სერბიაში. გადაყვანილ იქმნა საგანგებო ელჩი და რწმუნებული მინისტრი რუსეთისა სერბიაში იაპონიის საგანგებო ელჩად და რწმუნებულ მინისტრად.

**ლონდონი.** ვენიდგან აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“: „როგორც ხმა დადის, თუმცა ბრიტანიის მთავრობას არა აქვს სურვილი პირეის ჯარის გარს შემორტყმის ნება დართოს, მაგრამ ლონდონის ხელმძღვანელს წრეებში მაინც და მაინც არც ძალიან უნდათ მოურიგდნენ საქმეთა აწინდელს ვითარებას. იმ მოსაზრებას გარდა, რომ ეს წაქეზება იქნება სხვა პაწია სახელმწიფოებისათვის ასევე სამოქმედოდაო, რასაც შეიძლება ცეცხლის აღგზნება მოჰყვეს მთელს აღმოსავლეთს ევროპაში, იმ აზრისასანი არიან, რომ საბერძნეთი ვერ მოახერხებს და ვერ აღასრულებს იმ საქმეს, რომელიც თვითვე დააკისრა თავისს თავსაო. საბერძნეთს არავითარი განსაკუთრებული თვისება არა აქვს-რა ისეთი, რომ კრიტის მმართველობის საქმე იმას მიენდოსო; მეტადრე ფული არა აქვს იმდენი, რომ ამ ქვეყანაში თავისი უფლება მტკიცედ დაამყაროსო. ამბობენ, ამის გამო იძულებულ უნდა იქმნას ყოფილი საბერძნეთი დაანებოს თავი თავისს განზრახვას და იქამდე არ მიიყვანოს საქმე, რომ მეტის-მეტი ძალ დატანება დასჭირდესო“.

**ბერლინი.** „ჩრდილოეთ გერმანიის გაზ“. ამბობს, რომ მართალია „რეიტერის სააგენტოს“ მიერ მიღებული ცნობა იმ პასუხის შესახებ, რომელიც სალიუსბერს გაუცია, როდესაც განუხილავს გერმანიის წინადადება ჯარების შემორტყმის გამოო. „გერმანიის მთავრობაო, ამბობს გაზეთი, არა ჰღალატობს იმ გზას, რომელსაც აქამდე ადგა იგი და მზად არის დიდთა სახელმწიფოებთან ერთად იმოქმედოს, როდესაც აღიძრება საგანი კრიტის მომავალ მმართვის შესახებ, ხოლო ორი პირობა-კი უნდა იქმნას დაცულიო: პირველი, კრიტი საბერძნეთს არ უნდა შეუერთდეს, რადგან ასეთი შეერთება თავდებობას ვერ გაგვიწევს იმისას, რომ რიგიანი წესრიგი დამყარდება კუნძულზედ, ხოლო იგი საშიში მაგალითი იქნება ბალკანეთის ერთათვისაო; მეორე, ვიდრე მოლაპარაკება დაიწყებოდეს, ბოლო უნდა მოეღოს საერთაშორისო უფლებათა დამარღვეველს მოქმედებას საბერძნეთისას, რომელიც, თუ ბოლო არ მოეღო, დიდს შიშს უქადის მშვიდობიანობას.

**ვენა.** პეტერბურგიდგან „პოლიტ. კორესპ.“ აუწყებენ დეპეშით, რომ დიდნი სახელმწიფონი არ მისცემენ ნებას საბერძნეთს კრიტი შეიერთოს, რადგან საქმეთა საერთო მდგომარეობა თხოულობს, რომ ოსმალეთის ერთიანობა დაცულ იქმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ასე წააქეზეს საბერძნეთი, რითიც ბოლგარია და სერბიაც წაქეზდებიან,—ეს გარემოება გამოიწვევს შიშს საერთო მშვიდობიანობის დაცვისას, რაც მრავალის წლის განმავლობაში უმთავრესი საზრუნავი საგანია დიპლომატიისაო.

**ვენა.** რომიდგან აუწყებენ „პოლიტ. კორესპ“-ს, რომ მთლად არა არის მართალი ის ამბავი, ვითომ ინგლისისა და იტალიის კაბინეთებმა არ მოიწონეს წინადადება ჯარების შემორტყმის შესახებაო. მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ გათავებულა და სიმართლით რომ ითქვას, ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმისი თქმა შეიძლება, რომ ამ ორის კაბინეთის მხრივ არ მოსულა ამბავი თანხმობისა და არც იმისი, რომ ვითომ იმათ ჰსურდეთ ამ წინადადებაში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანა. ამავე დროს რომისა და ბრიტანიის კაბინეტები დაჟინებით აფრთხილებენ ათინას, იმ იმედით, რომ იმათს მოქმედებას საბერძნეთის მთავრობა ჯეროვანად დააფასებს.

**რომი.** 8 თებერვალს „სტეფანის სააგენტომ“ შემდეგი ამბავი გამოაქვეყნა: „აწინდელ გარემოებაში იტალიას არ შეუძლიან და არც თავს დაანებებს „ევროპის კონცერტს.“ იგი შეუერთდა და შემდეგშიაც დაუყოყმანებლად შეუერთდება მშვიდობიანობის საერთო საქმეს.“

**კონსტანტინეპოლი.** ყარათეოდორი-ფაშამაც უარი განაცხადა, კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას ვერ ვიკისრებო.

**ათინა.** საბერძნეთის კონსული, ვითარცა მეფის კომისარი, კანეიას, წავიდა საბერძნეთის ჯარის ბანაკში.

**კანეია.** სიტია დაიჭირა რაზმმა ჯარისამ, რომელშიაც 60 იტალიის ჯარის-კაცია, 30 საფრანგეთისა და 10 ინგლისისა: იმ მაჰმადიანებმა და ქრისტიანებმა, რომელთაც განაცხადეს სურვილი დაჰმორჩილდნენ დიდთა სახელმწიფოთა სამედიატორო გარდაწყვეტილებას, ერთმანეთს მძევლები დაუბრუნეს.

**ვაშინგტონი.** სენატმა შეიწყნარა წინადადება იმის შესახებ, რომ საბერძნეთს თანაგრძნობა გამოუცხადოთო.

10 თებერვალი

**პეტერბურგი.** 9 თებერვალს დიდის დღესასწაულით აკურთხეს შრომის მოყვარეობის სახლი, რომლის აშენებაც 40 ათასი მანეთი დაჯდა. ეს ფული გამოიღო შრომის მოყვარეობის სახლებისა და მუშათა სახლების კომიტეტმა.

**კოსტანტინეპოლი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ფოტი დესფაშა კრიტის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნაო.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ გაუგზავნა საყოველთაო ბრძანება თავისს წარმომადგენლებს საზღვარგარედ; ამ საყოველთაო ბრძანებაში მოყვანილია სხვა-და-სხვა უსიამოვნო მოქმედება საბერძნეთისა და სხვათაშორის შეიარაღებულ ხალხისა ხიოსის კუნძულზედ მისვლა, კუნძულის მკვიდრთათვის თოფ-იარაღის დასარიგებლად.

დეპეშა იანინიდგან: „სამხრეთ ალბანია“ იუწყება: მთავრობამ მაჰმადიანებს იარაღი დაურიგა იმ აზრით, რომ საბერძნეთს არტასთან შესეოდნენ იმ შემთხვევაში, თუ საბერძნეთი მტრულს მოქმედებას არ დაიშლისო, სამხრეთ ალბომნის მკვიდრნი, სადაც ბერძნები ბლომად არის, ხალხი დიდად აღელვებულია.

**კანეია.** ინგლისის ნალმიანმა გემებმა დააპატიმრეს და აქაურ ნავთსაყუდელში მოიყვანეს საბერძნეთის ამხანაგობის პატარა სავაჭრო ხომალდი, რომელსაც აჯანყებულთათვის საჭირო სურსათი და კარვები მიჰქონდა თურმე.

**ბომბეი.** იუწყებიან, რომ ეხლა შეიძლება სარგებლობა ხავკინის ანტიტოკსინითა შავი ჭირის წინააღმდეგ, ვიდრე ავად-მყოფი სიკვდილის პირად არ არისო. ამ საშუალებას ისე ჩინებული შედეგი მოჰყვა, რომ ქალაქის მმართველობა მალე შეუდგება უსასყიდლო აცრის საქმეს. უკვე ათასამდე გავლენანი ევროპიელსა და ადგილობრივ მკვიდრს აუცრეს ამ წამლით.

პეტერბურგის ბირჟა, 7 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | $7._{60}$ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — | — „ | 210 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $101^3/_8$ | — „ | — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | $102^1/_4$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^1/_8$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | ,, |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^1/_4$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $98^3/_4$ | — „ | — |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | $277^1/_2$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 258 |

---

## გამოსადეგი ცნობანი

სავაჭრო ამბები

—

განჯის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 13 მარტს 1897 წ. გაიყიდება მამული ეკატერინე ცაგიკოვისა, რომელიც იმყოფება ქ. განჯაში. მამული დაფასებულია 838 მან.

—

შუშის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 20 მარტს 1897 წ. გაიყიდება მეხტიუ-ნაჯაფ-ოღლის მამული, რომელიც იმყოფება ქ. შუშის მეორე ნაწილში. მამული დაფასებულია 668 მ. 25 კ.

—

მამული მაშადი მაჰმედ-მაშადი-ხალილოღლის, რომელიც იმყოფება ქ. შუშის მეორე ნაწილში. მამული დაფასებულია 50 მან.

—

ამირჯანა ტერ-გრიქუროვისა, რომელიც იმყოფება ქ. შუშის პირველ ნაწილში. მამული დაფასებულია 300 მ.

—

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 1 მაისს 1897 წ. გაიყიდება ივანე ტელიათურის მამული, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისის მე-10 უბანში. მამული დაფასებულია 10,000 მან.


# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ძმათა კლიუჩაროვების სეული უძრავი მამული ქალაქ ბათუმში, სმეკალოვისა და კომაროვის ქუჩების მოსახვევში, რომელიც ბანკს დარჩა. ეს მამული შეიცავს ხუთ სხვა-და-სხვა გვარ შენობას და 300 ოთხკუთხ საჟენ მიწას. ვაჭრობა დაიწყება 21.790 მ. და 05 კაპეიკიდგან. ამ ფულში ირიცხება თავნი ვალი ბანკისა—18.054 მ. 34 კ., ვადით ყოველ ექვს თვიური გადასახადი 641 მ. 25 კაპ. რაც მყიდველს შეუძლიან ვალადვე გადაიტანოს თავისს სახელობაზედ, დანარჩენი ფული-კი, 2351 მ. 45 კ. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ზემოხსენებულ ამულის ყიდვის დროს. ამ მამულის ყიდვის მსურველთ პირობებისა და დაწვრილებითი ცნობების შესატყობლად შეუძლიანთ მიჰმართოთ თვით ბანკის გამგეობას პირადად ან წერილით. (3—6—2)

გამოვიდა დ ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში
ახალი წიგნი
**ბაქტრიონი**
ისტორიული პოემა
ვაჟა-ფშაველასი.
(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით.).
შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)
**ფასი ერთი აბაზი,**
უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.
ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва I. Имедашвили и С. Челидзе.
(5—3)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

# ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები
გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან. (3—3)

ნიხრი

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ღროხის ხორცი 1 ხარისხისა უძვალოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.
სუკი 1 გირვანქა . . . . . 12 „
ცხვრის ხორცი უძვალოდ 1 გირვანქა . . . . . . . 8 „


Дозволено цензурою, Тифлисъ 10 го Февраля 1897 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.